



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 1628
15/10/2015

1628-09-2-201510151111



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის „ე.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ რომ, ზემო აღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, გიორგი ფაცურიას მოხსენებითი ბარათის (რომელსაც ახლავს აუდიტორული დასკვნები) საფუძველზე, რითაც „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმისათვის“ ახალი საპრივატიზებო ობიექტების დამატება განაპირობა ექსპერტის მიერ (წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავ ქონებისათვის საბაზრო ფასის ოდენობის დადგენამ, რითაც განისაზღვრა საწყისი საპრივატიზაციო საფასური, ხოლო რაც შეეხება ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების, კერძოდ ღრმადელეში არსებული სახერხის (ს/კ 27.16.45.015) ამოღების საფუძველია განახლებული აუდიტის დასკვნის მომზადება.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი


პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის

უფროსის, გიორგი ფაცურიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ზაზა ურუშაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა გეგმა დანართი2					
№	ობიექტის დასახელება	მისამართი	საწყისი ღირებულება (ლარი)	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	თავისუფალი მიწა	ქ.ლანჩხუთი თავისუფლების ქ. 4/ზ	3160	27.06.56.070	
2	სოფ.ტექნიკა (მიწა)	ს.მგელაძის ქ.16	577 016	27.06.48.013	
3	შენობა-ნაგებობა (ყოფილი სპორტსკოლა)	ქ.ლანჩხუთი, გორგასლის 11	20,000	27.06.51.016	
4	თავისუფალი მიწა	ქ.ლანჩხუთი, თავისუფლების ქ. 4/გ	1780	27.06.56.071	
5	ყოფილი სასტუმროს შენობის პირველი სართული	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. 126	205 611,12	27.06.51.005.01.501	
6	ყოფილი მაღაზიის შენობა	ლანჩხუთი, ნიგოთი	12 513	27.04.48.183	
7	ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა	ლანჩხუთი, აკეთი (ჭანჭათი)	2667	27.03.42.004	
8	თავისუფალი მიწა	ქ.ლანჩხუთი, მორჩილაძის ქ.1	640	27.06.52.081	
9	თავისუფალი მიწა	ქ.ლანჩხუთი, რკსადგურის	4020	27.06.52.082	
10	სოფ.ტექნიკა (შენობა - ნაგებობა 1	ქ.ლანჩხუთი ს.მგელაძის ქ. 16	7245	27.06.48.013	
11	საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოს შენობა-ნაგებობა	ქ.ლანჩხუთი ჟორდანიას ქუჩა ცენტრალური სკვერი	18,000	27.06.56.166	
12	თავისუფალი მიწა	ქ.ლანჩხუთი, მარჯანიშვილის ქ. 11 ა	12,990	27.06.56.130	
13	თავისუფალი მიწა	ქ.ლანჩხუთი, მარჯანიშვილის ქ. 11 ბ	9765	27.06.56.129	
14	თავისუფალი მიწა	ქ. ლანჩხუთი, კვიციანიას ქ. 21	5715	27.06.56.131	
15	შენობა-ნაგებობები (სახეობი)	ლანჩხუთი, აკეთი (ჭანჭათი)	9848	27.03.43.075	
16	შენობა-ნაგებობა	ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N107/ თავისუფლების ქ.N1	133.მ -50	27.06.56.019 01.500	

17	შენობა-ნაგებობა (ყოფილი მონკავეშერის შენობა)	ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N9	10,960	27.06.52.438.	
----	--	----------------------------	--------	---------------	--

„ELIT AUDIT“

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, სერთიფიკატი №66/281
ქ. ბათუმი კობაღაძის ქ. №13 ტ 899 914 631
CERTIFICATE z#6/281

№15/28-2

6 ოქტომბერი 2015 წ.

აუდიტორული დასკვნა (ქონების შეფასების შესახებ)

აუდიტორული დასკვნა შედგენილია შ.პ.ს. „ELIT AUDIT“-ის აუდიტორის კახა ხელაძის მიერ. (საკვალიფიკაციო სერთიფიკატი №66/281; ბაფ-ის კორპორატიული წევრი №74)

დამკვეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვის საფუძველზე (ხელშეკრულება №292; 28.09.2015წ) მოვახდინეთ უძრავი ქონების შეფასება, შეფასების დღისათვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

აუდიტის მიზანს წარმოადგენს უძრავი ქონების საბაზრო ფასის დადგენა, ანალოგიურ ან იდენტურ უძრავ ქონებაზე არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხისწორეზე პასუხისმგებელია დამკვეთი.

აუდიტორის მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი შესაფასებელი ქონების მახასიათებლები, ასევე მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

შესაფასებელია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 576 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 146 კვ.მ.

ქონების მახასიათებლებია:

ზონა ლანჩხუთი-27; სექტორი ლანჩხუთი 06; კვარტალი 52; ნაკვეთი 438; მისამართი: ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. #9 .

საბაზრო ფასებიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 576კვ.მ შეფასებულ იქნა: 1 კვ.მ.- 10 ლარად, სულ 5760 ლარად.

შენიშვნა-ნაგებობები: №1-97.99 კვ.მ; №2-7.83 კვ.მ; №3-355.95 კვ.მ. შეფასების დღისათვის იმყოფება გაუმართავ მდგომარეობაში, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. უვარგისია ექსპლოატაციისათვის.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შენიშვნა-ნაგებობები: №1-97.99 კვ.მ; №2-7.83 კვ.მ; №3-355.95 კვ.მ. სულ შეფასებულ იქნა 5500 ლარად.

სულ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2174 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენიშვნა-ნაგებობები: №1-97.99 კვ.მ; №2-7.83 კვ.მ; №3-355.95 კვ.მ. შეფასებულ იქნა 9848 (ცხრაათასრვაასორმოცდარვა) ლარად.

- 1) ქონების ფოტოსურათები 4 ფურცლად.
- 2) მონაწერი საჯარო რეესტრიდან 2 ფურცლად
- 3) აუდიტორის სურთიფიკატი ერთ ფურცლად.

გამოყენებული ლიტერატურა: შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, მერვე გამოცემა.

დასკვნა შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე კვანძებად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ერთი ინახება აუდიტორთან.

აუდიტორი:



/კ. ხელაძე/

„ELIT AUDIT“

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. სერტიფიკატი №6/281
ქ. ბათუმი კიბლაძის ქ. №13 ტ. 899 914 631
CERTIFICATE z#6/281

№15/28-5

6 ოქტომბერი 2015 წ.

აუდიტორული დასკვნა (ქონების შეფასების შესახებ)

აუდიტორული დასკვნა შედგენილია შ.პ.ს. „ELIT AUDIT“-ის აუდიტორის კახა ხელაძის მიერ. (საკვალიფიკაციო სერტიფიკატი №6/281; ბაფ-ის კორპორატიული წევრი №74)

დამკვეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვის საფუძველზე (ხელშეკრულება №292; 28.09.2015წ) მოვახდინეთ უძრავი ქონების შეფასება, შეფასების დღისათვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

აუდიტის მიზანს წარმოადგენს უძრავი ქონების საბაზრო ფასის დადგენა, ანალოგიურ ან იდენტურ უძრავ ქონებაზე არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია დამკვეთი.

აუდიტორის მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი შესაფასებელი ქონების მახასიათებლები, ასევე მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

შესაფასებელია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება, კერძოდ დასადგენია შენობა -ნაგებობის მეორე სართულის 600კვ.მ.-დან 1კვ.მ. საბაზრო ღირებულება.

ქონების მახასიათებლებია:

ზონა ლანჩხუთი-27; სექტორი ლანჩხუთი 06; კვარტალი 56; ნაკვეთი 19; კოდი-01/500
მისამართი: ქ. ლანჩხუთი, ქორდანიას ქ. #107, თავისუფლებისქ.#1 .

შეფასების დღისათვის შესაფასებელი ფართი იმყოფება გაუმართავ მდგომარეობაში, მოშლილია კარ-ფანჯრები, იატაკი, ყველანაირი კომუნიკაცია, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

შესაფასებელი შენობა-ნაგებობა 2369,9 კვ.მ. წარმოადგენს თეთრი აგურით ნაშენ ქვის ორსართულიან ნაგებობას. შეფასების დღისათვის შენობა მთლიანად გამოსულია მწყობრიდან, დაზიანებული, ჩამოშლილია ნაწილობრივ და კოროზირებულია კედლები და სახურავი. არ გააჩნია არანაირი კომუნიკაცია, აგარიულია, უვარგისია ექსპლოატაციისათვის, ექვემდებარება დემონტაჟს. შენობის უკანა მხარეს დგას შავი ლითონის წყლის კოშკურა, ავზით.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით 2369,9 კვ.მ. შენობა-ნაგებობა შეფასებულ იქნა 20 000 ლარად.

სულ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 864 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 2369,9 კვ.მ. შეფასებულ იქნა 38640 (ოცდათვრამეტიათასექვსასორმოცი) ლარად.

- 1) ქონების ფოტოსურათები 6 ფურცლად.
- 2) მონაწერი საჯარო რეესტრიდან 2 ფურცლად
- 3) აუდიტორის სერთიფიკატი ერთ ფურცლად.

გამოყენებული ლიტერატურა: შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, მერვე გამოცემა.

დასკვნა შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ერთი ინახება აუდიტორთან.

აუდიტორი:



/კ. ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2015 წლის ოქტომბერი

ქ.ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N 10 განკარგულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი N 1- ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს (დანართი 1-ის) შესაბამისად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N10 განკარგულების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი N 2- ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს (დანართი 2-ის) შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N 14 - ში მისი ამოქმედებისთანავე ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.